 დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური

OFFICE OF INDEPENDENT INSPECTOR

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში

თბილისი
2024

შინაარსი

შესავალი 3
1. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის სტატისტიკური ანალიზი 4
1.1. ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია 4
1.2. სტატისტიკური ინფორმაცია საჩივრის ავტორთა შესახებ 5
1.3. სტატისტიკური ინფორმაცია საქმეთა კატეგორიების შესაბამისად 6
1.4. სტატისტიკური ინფორმაცია სასამართლო ინსტანციების შესაბამისად 7
1.5. სტატისტიკური ინფორმაცია მოსამართლეთა შესაბამისად 8
2. სტატისტიკური ინფორმაცია წინასწარი მოკვლევის შედეგების შესახებ 9
2.1. სტატისტიკური ინფორმაცია დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ 9
2.2. სტატისტიკური ინფორმაცია მომზადებული დასკვნების შესახებ 10
2.3. სტატისტიკური ინფორმაცია სადისციპლინო სხდომების შედეგების შესახებ 11
3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების განზოგადება 12
4. დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილებების განზოგადება 14

შესავალი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2023 წლის 27 ივლისს დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე შოთა ქადაგიძე აირჩია. აღსანიშნავია, რომ როგორც დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის, ისე დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისთვის 2023 წელი განსაკუთრებით დატვირთული იყო მიღებული საჩივრებისა და მომზადებული დასკვნების რაოდენობის გათვალისწინებით, რადგან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საჩივართა ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა.

მნიშვნელოვანია, რომ გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით 7%-ით შემცირდა იმ საჩივრების რაოდენობა, რომელიც აქტის კანონიერების ზედამხედველობას შეეხებოდა და შეადგინა 29%. აღნიშნული ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს სამსახურის მიერ ცნობიერების მიზნით განხორციელებული აქტივობების ეფექტურობაზე.

ამასთან, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის შესახებ ცნობიერების გაზრდის მიზნით, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ 2023 წელს ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელშეწყობითა და სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის ჩართულობით ჩატარდა ყოველწლიური ეროვნული შეჯიბრი „სამოსამართლო ქცევა და დისციპლინა“, რომელიც მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის იმიტაციას წარმოადგენს. შეჯიბრში მონაწილეობა სხვადასხვა უნივერსიტეტის 20-მდე გუნდმა მიიღო.

წინამდებარე ანგარიში სამი თავისგან შედგება. პირველ და მეორე თავებში სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაანალიზებულია დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში წარმოდგენილი საჩივრები და მოცემულია ინფორმაცია წინასწარი მოკვლევის შედეგების შესახებ. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნები გადაცდომის სახეების შესაბამისად განზოგადებულია მესამე თავში. ხოლო, მეოთხე თავი ეთმობა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე ინფორმაციას, სადაც წარმოდგენილია ისეთი საქმეები, რომლებიც კანონიერებაზე ზედამხედველობის დაუშვებლობის საფუძვლით შეწყდა.

1. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის სტატისტიკური ანალიზი

1.1. ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში 2023 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით განსახილველად 230 დისციპლინური საჩივარი და 95 ფორმის დაუცველი წერილი დარეგისტრირდა.





2023 წელს შემოსული საჩივრების რაოდენობა 2022 წელთან შედარებით გაიზარდა 12%-ით. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ საჩივრების შესწავლის მიზნით, გაიგზავნა 603 წერილი და გამოთხოვილია წინასწარი მოკვლევისათვის საჭირო შესაბამისი ინფორმაცია.

საანგარიშო პერიოდში, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ცხელ ხაზზე შემოვიდა 200-ზე მეტი ზარი. ყველა მათგანს დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურებთან დაკავშირებით მიეწოდა ინფორმაცია.

1.2. სტატისტიკური ინფორმაცია საჩივრის ავტორთა შესახებ

საჩივრის ავტორთა შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია დამუშავებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში მითითებული ჩამონათვალის გათვალისწინებით და სასამართლოში მიმდინარე საქმეებში მათი სტატუსის შესაბამისად.[1] გასულ წელთან შედარებით მხარეთა მიერ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა 10%-ით, 8%-ით შემცირდა წარმომადგენელთა საჩივრების რაოდენობა, ხოლო 1.5%-ით შემცირდა დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი საჩივრების მაჩვენებელი. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების მაჩვენებელი 0.5%-ს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში დისციპლინური სამართალწარმოება არ დაწყებულა საგამოძიებო ორგანოების შეტყობინების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებული, აგრეთვე, სახალხო დამცველის წინადადებაში/ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.





[1] საჩივრის ავტორებს წარმოადგენენ: მხარეები, წარმომადგენლები (კანონიერი წარმომადგენლები, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები, ადვოკატები), დაინტერესებული პირები (საქმეში მონაწილე მხარის ოჯახის წევრი, სხდომაზე დამსწრე ან ნებისმიერი სხვა პირი), სახალხო დამცველი. ასევე, დისციპლინური სამართალწარმოება შეიძლება დაიწყოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციისა და მოხსენებითი ბარათების საფუძველზე.

1.3. სტატისტიკური ინფორმაცია საქმეთა კატეგორიების შესაბამისად

საქმეთა კატეგორიების მიხედვით, როგორც გასულ, ისე მიმდინარე წელს, საჩივრების უმრავლესობა სამოქალაქო სამართლის საქმეებს შეეხება და მისი პროცენტული მაჩვენებელი 54%-ს შეადგენს, რაც 3%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე მომართვიანობის მაჩვენებელი 8%-ით მეტია გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული საჩივრების რაოდენობა გაიზარდა 5%-ით.





1.4. სტატისტიკური ინფორმაცია სასამართლო ინსტანციების შესაბამისად

საქმეთა განზოგადების შედეგად დადგინდა, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლეების მიმართ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობა გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით 1%-ით გაიზარდა და 84% შეადგინა. სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ მიღებული საჩივრების რაოდენობა 1%-ით გაიზარდა და 13%-ია. ხოლო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მიმართ მიღებული საჩივრების რაოდენობა 2%-ით შემცირდა და 3%-ს შეადგენს.





1.5. სტატისტიკური ინფორმაცია მოსამართლეთა შესაბამისად

საანგარიშო პერიოდში წინასწარი მოკვლევისათვის წარმოებაში არსებული 230 საჩივარი შეეხებოდა 207 მოსამართლეს.[2]

მოსამართლეთა მიმართ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობა სასამართლო ინსტანციებისა და საქმეთა კატეგორიების შესაბამისად შემდეგნაირად ნაწილდება:



შემოსული საჩივრებისა და მათში მოსამართლეთა შესახებ ასახული მონაცემების თანახმად, ყველაზე მეტი საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოების სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ იყო წარმოდგენილი, რამაც პირველი ინსტანციის მოსამართლეთა მიმართ არსებული საჩივრების 47% შეადგინა. მეორე ინსტანციის სასამართლოების სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობამ სააპელაციო ინსტანციის მოსამართლეთა საერთო რაოდენობის 33% შეადგინა, რაც ამავე ინსტანციის ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობაზე 5%-ით ნაკლებია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლეთა მიმართ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობამ მესამე ინსტანციის მოსამართლეთა მიმართ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობის 85% შეადგინა, ადმინისტრაციული სამართლის განმხილველ მოსამართლეთა მიმართ წარმოდგენილი საჩივრების რაოდენობა - 15%-ს შეადგენს, ხოლო, ამავე ინსტანციის სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ მოსამართლეთა მიმართ საანგარიშო პერიოდში საჩივარი არ ყოფილა წარმოდგენილი.[3]

[2] აღსანიშნავია, რომ რაიონული სასამართლოების ზოგიერთი მოსამართლე ორი ან სამი კატეგორიის საქმეს განიხილავს. ამასთან, რიგ შემთხვევებში მოსამართლეთა მიმართ რამდენიმე საჩივარია წარმოდგენილი. შესაბამისად, შემოსულ საჩივრებსა და საქმეთა კატეგორიებში მოსამართლეთა რაოდენობა განსხვავებულია.

[3] საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი ორი საჩივარი არცერთი კატეგორიის საქმეს არ შეესაბამებოდა.

2. სტატისტიკური ინფორმაცია წინასწარი მოკვლევის შედეგების შესახებ

საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში განსახილველად წარდგენილი საჩივრებიდან ხარვეზი[4] დადგინდა მხოლოდ 7 შემთხვევაში. ხარვეზის შევსების შედეგად 5 საჩივრებზე დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და საქმის გარემოებების წინასწარი მოკვლევა, ხოლო, 2 საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს დისციპლინური სამართალწარმოება დაიწყო 229 საჩივრის საფუძველზე[5], ხოლო დასრულდა 217 საჩივარზე. დისციპლინური სამართალწარმოება არ დასრულებულა 2023 წლის დეკემბერში მიღებულ 12 საჩივარზე.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელ ინსპექტორს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის საქმის პროკურატურაში გადაგზავნის ინიციატივით არ მიუმართავს.

2.1. სტატისტიკური ინფორმაცია დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ

წინასწარი მოკვლევის შედეგად დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მიიღო მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმისა ან მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ 80 გადაწყვეტილება, კერძოდ:

- ✓ 48 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან საჩივარი მოსამართლეთა მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას შეეხებოდა;
- ✓ 19 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ;
- ✓ 9 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან საჩივარი წარმოდგენილი იყო დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისათვის დადგენილი ვადის დარღვევით;
- ✓ 3 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან არსებობდა დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს მიერ იმავე მოსამართლის მიმართ, იმავე ქმედების გამო გამოტანილი გადაწყვეტილება;
- ✓ 1 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან საჩივარი წარმოდგენილი იყო პირის მიმართ, რომელიც არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ სუბიექტს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელს მიღებული გადაწყვეტილებების (აქტის კანონიერების საფუძვლით სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტილი) მაჩვენებელი გასულ წელთან შედარებით შემცირდა 7%-ით (36%-დან 29%-მდე).

---

[4] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „თუ საჩივარში მითითებული არ არის მოსამართლის ვინაობა, საქმე ან/და დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი, დამოუკიდებელი ინსპექტორი საჩივრის ავტორს დაუდგენს ხარვეზს და მის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს არაუმეტეს 5-დღიან ვადას. ხარვეზის აღნიშნულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში საჩივარი (განცხადება) არ განიხილება“.

[5] მათ შორის, დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობდა 2022 წელს მიღებულ 14 საჩივარზე, რომელზეც წინასწარი მოკვლევა დასრულდა 2023 წელს. ამდენად, საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობდა 2022 წლის 14 საჩივრის და 2023 წლის 215 საჩივრის საფუძველზე.

2.2. სტატისტიკური ინფორმაცია მომზადებული დასკვნების შესახებ

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურმა დისციპლინური საქმის მოკვლევის მიზნით გამოითხოვა საქმის მასალები, ვიდეო და აუდიოჩანაწერები, გამოკითხა საჩივრის ავტორები და მოიძია სხვადასხვა სახის წერილობითი მტკიცებულება (მაგ. ინფორმაცია სხდომის განრიგის შესახებ, მოსამართლეთა ქონებრივი დეკლარაცია, შეისწავლა სტატისტიკური მონაცემები და ა.შ).

საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი მოკვლევის შედეგად მომზადდა 174 დასკვნა 164 მოსამართლის მიმართ.[6] მნიშვნელოვანია, რომ საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მოკვლევა დაასრულა და დასკვნა მოამზადა 2023 წელს მიღებული საჩივრების 93%-ზე. ამასთან, წინასწარი შემოწმებისათვის კანონით დადგენილი 1 თვიანი ვადა 2 კვირით გაგრძელდა 10 საჩივარზე.

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილების უფლებით არცერთ მოსამართლეს არ უსარგებლია, ისევე როგორც თვითაცილების უფლება დამოუკიდებელ ინსპექტორს არ გამოუყენებია.

[6] მოსამართლეთა რაოდენობა დათვლილია კონკრეტულ საჩივარში მათ მიერ განხილულ/განსახილველ საქმეთა კატეგორიისა თუ სასამართლო ინსტანციის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მოსამართლე ორი ან სამი კატეგორიის საქმეს განიხილავს. ამასთან, რიგ შემთხვევებში, მოსამართლეთა მიმართ რამდენიმე საჩივარია წარმოდგენილი. მოსამართლეთა სხვადასხვა ინსტანციაში გადასვლის გამო მათი საერთო რაოდენობა განსხვავდება ინსტანციების შესაბამისად მოსამართლეთა რაოდენობისგან, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში პალატასა თუ კოლეგიაში მოსამართლეთა სიმცირის გამო სხვადასხვა კატეგორიის მოსამართლეები განიხილავდნენ იმ კატეგორიის საქმეს, რომელშიც ისინი არ იყვნენ განაწილებული. აქედან გამომდინარე, მოსამართლეთა რაოდენობა საქმეთა კატეგორიებისა თუ ინსტანციების შესაბამისად განსხვავებულია დასკვნებში მოსამართლეთა საერთო რაოდენობისგან.

2.3. სტატისტიკური ინფორმაცია სადისციპლინო სხდომების შედეგების შესახებ

საანგარიშო პერიოდში საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა 1 სადისციპლინო სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განიხილა 2020-2021 წლებში წარდგენილი საჩივრების საფუძველზე დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული 68 დასკვნა.

სადისციპლინო სხდომებზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო 84 გადაწყვეტილება[7]. მათ შორის:

- ✓ 74 გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ;[8]
- ✓ 10 გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არცერთ წევრს განსხვავებული მოსაზრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე არ წარუდგენია. ამასთან, სხდომის გასაჯაროების უფლებით არცერთ მოსამართლეს არ უსარგებლია.

[7] დისციპლინურ საჩივარში მითითებულ მოსამართლეთა რაოდენობის მიუხედავად, დამოუკიდებელი ინსპექტორი ერთ დისციპლინურ საჩივარზე ამზადებს ერთ დასკვნას, რომელშიც თითოეული მოსამართლის ქმედებას ინდივიდუალურად აფასებს და მომზადებულ დასკვნას წარუდგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. ამასთან, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია, ერთ წარმოებად გაერთიანოს ერთი მოსამართლის მიმართ წარმოდგენილი რამდენიმე საჩივარი. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილებას თითოეული მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე ინდივიდუალურად იღებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრების, წარდგენილი დასკვნებისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა განსხვავებულია.

[8] განხილული 68 დასკვნიდან 31 საქმეზე რიგ ფაქტებთან მიმართებით არსებობდა დამოუკიდებელი ინსპექტორის რეკომენდაცია მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო 10 შემთხვევაში დაეთანხმა დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნას და დაიწყო დისციპლინური დევნა მოსამართლის მიმართ, ხოლო 21 საქმეზე დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა ვინაიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[8] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სრული შემადგენლობის უმრავლესობით ვერ მიიღო გადაწყვეტილება.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების განზოგადება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი 21 დისციპლინურ გადაცდომას ითვალისწინებს. მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ორგანული კანონით განსაზღვრული კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის საფუძველზე, რითაც გადაცდომათა განჭვრეტადობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

დამოუკიდებელი ინსპექტორი წინასწარი მოკვლევის ეტაპზე დისციპლინურ საქმეს იკვლევს ობიექტურად და ყოველმხრივ. სწავლობს მოსამართლის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელ, ისე დამამძიმებელ გარემოებებს. ასევე, ყურადღებას ამახვილებს ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებზე. მოსამართლის ქმედების სავარაუდო გადაცდომად შეფასებისას აუცილებელია მისი მისადაგება დისციპლინური გადაცდომის რომელიმე სახესთან.

საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი დისციპლინური საჩივრები შეეხებოდა მხოლოდ 12 სხვადასხვა ქვეპუნქტში ასახულ ქმედებებს.[9]

ანგარიშის წინამდებარე თავში განზოგადებულია დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნები საქმეთა კატეგორიების, გადაცდომებისა და საქმეზე დამდგარი შედეგების შესაბამისად. საქმეთა განზოგადება ცხადყოფს, რომ გადაცდომის სახედ საჩივრის ავტორები უმეტესად უთითებენ:

- მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევას;
- მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებას პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით;
- მოსამართლის სხვა ქმედებას, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს;
- მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმას, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი;
- მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვას.

[9] ცხრილში მოცემულია ინფორმაცია საჩივრებში მითითებული დისციპლინური გადაცდომის რაოდენობის შესახებ.

137	• მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა
57	• მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით
17	• მოსამართლის სხვა ქმედება, რომელიც არ შეეფერება მოსამართლის მაღალ სტატუსს
15	• მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა
15	• მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი
9	• სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლის სიტყვიერად ან სხვაგვარი ფორმით გამოხატული დისკრიმინაციული ქმედება ნებისმიერი პირის მიმართ ამა თუ იმ საფუძვლით
10	• მოსამართლის მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული უფლებამოსილების, კერძოდ, სასამართლოს სასამართლო კოლეგიის ან პალატის ხელმძღვანელის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება
3	• სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ კანონის დარღვევისა და ამ პუნქტით გათვალისწინებული შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტის მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვება, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია
3	• მოსამართლის მიერ პირადი და ინტენსიური (მეგობრული, ოჯახური) ურთიერთობის დამყარება უშუალოდ მის მიერ განსახილველ საქმეში პროცესის მონაწილესთან, რაც იწვევს მოსამართლის მიკერძოებას ან/და პროცესის მონაწილისთვის უპირატესობის მინიჭებას, თუ მას ჰქონდა ინფორმაცია მხარის შესახებ
2	• მოსამართლის მიერ განსახილველი საქმის შედეგის წინასწარ გამჟღავნება, გარდა საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა
1	• მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა საქმის შედეგზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით
1	• მოსამართლის მიერ ამ კანონის 72^1 მუხლის პირველი პუნქტის ან 72^2 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დარღვევა

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილებების განზოგადება

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ 2023 წელს მიღებული გადაწყვეტილებების 29% მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას შეეხებოდა. აღნიშნული გადაწყვეტილებების საერთო რაოდენობა 2022 წელთან შედარებით შემცირდა 7%-ით, რადგან:

- ✓ 2023 წელს შემოსული 230 საჩივრიდან აქტის კანონიერების საფუძვლით დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის 67 გადაწყვეტილება იქნა მიღებული.
- ✓ 2022 წელს შემოსულ 205 საჩივარზე აქტის კანონიერების საფუძვლით დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის 74 გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

სტატისტიკურად საჩივრის ავტორები მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად განჩინების კანონიერებასაც ხდიან სადავოდ, მაგალითად, საჩივრის ავტორები ხშირად უთითებენ ისეთ გარემოებებზე, როგორიცაა შუამდგომლობის არ დაკმაყოფილება, მტკიცებულებების არასათანადოდ გამოკვლევა და ა.შ.

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან საინტერესოა საქმე, სადაც საჩივრის ავტორი სადავოდ ხდიდა სარჩელის უზრუნველყოფის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერებას. ამასთან, აღნიშნავდა, რომ მოსამართლემ უსაფუძვლოდ უთხრა უარი სარჩელის განუხილველად დატოვებაზე და არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა საქმეთა გაერთიანების შესახებ.

საქმის მასალებით დადგინდა, რომ მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობა წარადგინა სასამართლოში. სასამართლომ მიიღო განჩინება შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე. მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სრულად/ნაწილობრივ დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყოფილოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა, რა დროსაც სასამართლო საკითხს წყვეტს საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი ანალიზის და იმ შესაძლო რისკების გონივრულ ფარგლებში შეფასებით, რაც შუამდგომლობის სრულად/ნაწილობრივ დაკმაყოფილებას ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმას შეიძლება მოჰყვეს.

ამასთან, მოპასუხემ სარჩელის განუხილველად დატოვების მოთხოვნით შუამდგომლობა წარადგინა სასამართლოში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ: იმავე ან სხვა სასამართლოს წარმოებაში არის საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. იმის გათვალისწინებით, რომ სახეზე არ იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრული სარჩელის განუხილველად დატოვების წინაპირობები მოპასუხეს უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

რაც შეეხება, მხარის მოთხოვნას საქმეთა გაერთიანების შესახებ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს წარმოებაშია რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საქმე, რომლებშიც ერთი და იგივე ან სხვადასხვა მხარე მონაწილეობს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გააერთიანოს ეს საქმეები ერთ წარმოებად ერთად განხილვისათვის, თუ ასეთ გაერთიანებას შედეგად მოჰყვება დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა. მოსამართლე, რომელსაც მიმართეს საქმეთა გაერთიანების შესახებ შუამდგომლობით, თავის წარმოებაში არსებულ საქმესთან აერთიანებს თავის წარმოებაშივე ან სხვა მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეს, რის თაობაზეც გამოაქვს მოტივირებული განჩინება. მოცემულ შემთხვევაში მოსამართლემ მიიჩნია, რომ საქმეთა გაერთიანება

ვერ უზრუნველყოფდა დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვას. ამდენად, მიიღო საოქმო განჩინება, შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

შესაბამისად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა, რომელიც შეეხებოდა მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიღებული განჩინების კანონიერების შემოწმებას არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

ასევე, ერთ-ერთი დისციპლინურ საქმეში საჩივრის ავტორი უთითებდა, რომ მოსამართლემ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება, ვინაიდან სათანადოდ არ შეისწავლა მტკიცებულებები.

საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დამოუკიდებელმა ინსპექტორმა მიიჩნია, რომ საფუძველს მოკლებული იყო საჩივრის ავტორის მოთხოვნა, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ამავე კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოსაზრებები რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში. ხოლო 244-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი - დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს თუ არა სარჩელი.

საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები მტკიცებულებათა გამოკვლევის თაობაზე შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად მიღებული განჩინებების შემოწმებას, რაც არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში, რადგან წარმოადგენს აქტის კანონიერებაზე ზედამხედველობას.

ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეში საჩივრის ავტორი აღნიშნავდა, რომ მოსამართლე გასცდა საპროცესო საკანონმდებლო რეგულაციებს და უსაფუძვლოდ დაადო ყადაღა ანგარიშებს.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი გარემოებები წარმოადგენდა მოსამართლის მიერ, შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად განხორციელებულ ქმედებებს და არ შეიძლება განხილულ ყოფილიყო, როგორც დისციპლინური გადაცდომა.[10]

ასევე მნიშვნელოვანია ერთ-ერთი საქმე, სადაც საჩივრის ავტორი აღნიშნავდა, რომ მოსამართლემ არ გაითვალისწინა ფაქტი იმის შესახებ, რომ ბრალდებული აპირებდა მიმალვას. საჩივრის ავტორის შეფასებით, მოსამართლის მიერ მიღებული განაჩენი იყო არაადეკვატური ჩადენილ დანაშაულთან მიმართებაში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი. ამავე კოდექსის 258-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს

[10] დისციპლინური საქმე №166/23 https://dis.court.ge/wp-content/uploads/2023/10/distsiplinuri-saqme-166-23.pdf

განაჩენი დგინდება და ცხადდება საქართველოს სახელით, ხოლო ამავე კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი შეიძლება იყოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი.

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების კვლევას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

ასევე, საინტერესო საქმეთა კატეგორიას განეკუთვნება დისციპლინური საქმე, სადაც საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მოსამართლემ მიიღო უკანონო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფისა და სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191.1. მუხლის მიხედვით, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას ან გამოიწვევს ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას ან გამოიწვევს ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

მოსამართლე სამოქალაქო საქმეზე განჩინების მიღებისას მოქმედებდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და კონკრეტული საკითხების შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მის კანონიერებაზე.

საჩივრის ავტორი ერთ-ერთ საქმეზე უთითებს, რომ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის მოტივით, საქმის განხილვაზე ეთქვა უარი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არსებობს მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების საფუძველი.

ამდენად, მოსამართლე სამოქალაქო საქმეზე განჩინების მიღებისას მოქმედებდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და კონკრეტული საკითხების შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მის კანონიერებაზე.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორი გადაწყვეტილების მიღებისას ადგენს საჩივარში მითითებული გარემოებების შესაბამისობას დისციპლინური გადაცდომის კონკრეტულ ქვეპუნქტებთან. თუ საკითხი არ შეესაბამება გადაცდომის არცერთ სახეს და იგი მიღებულია მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი ქმედება შეაფასოს როგორც დისციპლინური გადაცდომა.